MES 5 23 0001508902

07/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
საბა ელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1.სსიპ- ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლა:
დემურ გაგუა - სკოლის დირექტორი
ნინო თავაძე - სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

2.სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა:
შორენა ბაკურაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

3.სსიპ - ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლა:
მარინა ჯიქიძე - სკოლის დირექტორი

4.სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა:
ლეილა ხუციშვილი - დირექტორის მოადგილე

5.სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლა:
კოტე გოგიაშვილი - სკოლის დირექტორი
მაია გოგბერაშვილი - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ავტორიზაციისთვის მოსამზადებელი კომისიის წევრი

6.სსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯარო სკოლა:
ბაია გაბაიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ- ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლა
ა) თეა გაბელაია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მელანო ზოიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ირინე თეთვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) მინდია მაცაბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ლალი ლალიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ელიზა კუკავა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლა

ა) თამარ ამზაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ხათუნა კობიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ვლადიმერ ბერუაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) მირანდა თურმანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნინო ვასაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) თინათინ მარქარაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლა
ა) მანანა ალიბეგაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) თამარი კვანტიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ეკატერინე გურგენაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) იოსები ლაზარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) სოფიო დუმბაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) თამარ თავშავაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ავთანდილ კეჭაყმაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა
ა) ელისაბედ ბუსხრიკიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მარიამ ჭყონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ალა სანამიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) თამარ შალვაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ედუარდ ნაკაიძე(სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლა
ა) ნესტან სიხარულიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ირმა შალიკიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ეკატერინე ჟვანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ინგა გელაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) მადონა ბობოხიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ნინო მარღიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) თამარ ზედგინიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ვერა სომხიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯარო სკოლა
ა) მაკა ჭიაბერაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მარიამ იაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) თეა მელქაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ბექა კვაჭაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ვალერიანე ვოლჩანსკი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) სერგო დურგლიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 25 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ- ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ,თეა გაბელაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის N50-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 910 მოსწავლე.
თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი (სამივე საფეხურის პროგრამისათვის)და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, მესამე სტანდარტში კომპონენტი 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და ყურადღება გაამახვილა დაწესებულებაში არსებულ თანამშრომლობით გარემოსა და გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებულ სასკოლო კულტურაზე.
მისი განცხადებით, თვითმმართველობის ინიციატივით და სკოლის მხარდაჭერით დაწესებულებაში შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი: „მკითხველთა კლუბი“, „ხატვის მოყვარულთა კლუბი“, „გარემოს დაცვის კლუბი“. აღნიშნული კლუბების მუშაობის ფარგლებში სკოლაში ხორციელდებოდა მრავალფეროვანი პროექტები და აქტივობები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, შეეხო უსაფრთხოების საკითხს და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტი, დასტურად იმისა, რომ სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. სკოლის დირექტორმა, დემურ გაგუამ აღნიშნა, რომ შენობის რეაბილიტაციის შემდეგ სკოლისთვის არ მიუწოდებიათ მიღება-ჩაბარების დოკუმენტი.
თამარ მამსიკაშვილი ასევე დაინტერესდა ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებული საკითხებით და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რომელიც ეხებოდა რესურსოთახის არსებობას აგრეთვე რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ირიცხებოდა მოცემული დროისათვის სკოლაში. დემურ გაგუამ აღნიშნა, რომ სკოლაში ირიცხებოდა 12 სსსმ მოსწავლე, რომლებთანაც მუშაობდა ორი სპეციალური მასწავლებელი. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლას ასევე გააჩნდა შესაბამისი რესურსოთახი.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაინტერესდა სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი ოქმით, რომლის თანახმად, სხდომას ესწრებოდა სამეურვეო საბჭოს 13 წევრი, ხოლო ყველა საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო 12 წევრმა - არცერთის წინააღმდეგ. ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რატომ ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება 12 წევრის მიერ. სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო თავაძემ, აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს მეცამეტე წევრი, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ მონაწილეობდა, იყო არასრულწლოვანი პირი. ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ სკოლის თვითმმართველობის ყველა წევრს გააჩნდა უფლებამოსილება ესარგებლა სრულუფლებიანი წევრის სტატუსით, რომელსაც უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საბჭომ სკოლას მისცა რჩევა მოსწავლეებს მუდმივად მიეცეს შესაძლებლობა მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი სკოლაში მიმდინარე პროცესებში და მათი ხმა იყოს ყოველთვის მნიშვნელოვანი. აღნიშნულს დაეთანხმა სკოლის წარმომადგენელი მომავალში გათვალისწინების მიზნით.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმში პრიორიტეტულ თემად მითითებული იყო ფინანსური წიგნიერება და კიბერუსაფრთხოება. მან სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ რა პროცესები და აქტივობები ხორციელდებოდა სკოლაში ამ კუთხით. სკოლის დირექტორმა, დემურ გაგუამ აღნიშნა, რომ ფინანსურ წიგნიერებასთან და კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით სკოლაში განხორციელდა მასშტაბური პროექტი. ფინანსური წიგნიერების დაგეგმვის პროცესებში საწყის ეტაპზე მოხდა მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შეირჩა პროექტი, განისაზღვრა მიზნები და აქტივობები, სკოლამ მოიწვია სპეციალისტები, რომელთა აქტიური ჩართულობით განხორციელდა აღნიშნული. სკოლის წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კიბერუსაფრთხოების პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მოსწავლეებს შორის ბულინგის შემცირების თვალსაზრისით.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, ყურადღება გაამახვილა კვლევაზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რა მეთოდებს იყენებდა სკოლა კვლევის პროცესებში. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევის ფარგლებში იყენებდნენ თვისებრივ და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს. ჩატარდა ინტერვიუები მშობლებთან და ბავშვებთან, გამოყენებულ იქნა კითხვარები, რომლის შედეგების გაანალიზებაც მოხდა დიაგრამების საშუალებით. აღნიშნული შედეგების შედარება განხორციელდა პირვანდელი კვლევების შედეგებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 910-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებში არ მონაწილეობდა მოსწავლე, რომელიც წარმოადგენდა თვითმმართველობას, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ქუთაისის №10 საჯარო სკოლას (ს/კ: 212708373) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 910-ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის N50
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის N50

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის N50

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ამზაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქინძათში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მესამე სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო მეორე სტანდარტი - სასკოლო კურიკულუმი (სამივე საფეხურის პროგრამასთან მიმართებით) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 2.2 მეტწილად შესაბამისი იყო სტანდარტის მოთხოვნებთან, რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ იყო სრულად აღჭურვილი.
ექსპერტმა, თამარ ამზაშვილმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტი შეეხო სკოლის საუკეთესო პრაქტიკას და დასძინა, რომ დაწესებულებაში იყო ახალი, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სასკოლო საზოგადოებას კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული მისია და აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროექტები და აქტივობები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა რაოდენობით. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა შორენა ბაკურაძემ აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის საშუალო საფეხურზე 11, ხოლო სკოლაში მთლიანად 71 მოსწავლე ირიცხებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათის საჯარო სკოლას (ს/კ: 243881117) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქინძათი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქინძათი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქინძათი

17:40 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი

3. სსიპ - ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ალიბეგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვეჯინში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 400 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი - სამივე საფეხურის პროგრამისათვის) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტი 3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 და 3.6 მეტწილად შესაბამისი იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.
მანანა ალიბეგაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. მანანა ალიბეგაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, თუმცა სკოლის მხრიდან გაგზავნილი იყო წერილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საიდანაც ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა ატარებდა ივანე ბერიტაშვილის სახელს და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, აღნიშნული საკითხი აისახებოდა თუ არა სასკოლო ცხოვრებაზე. სკოლის დირექტორმა, მარინა ჯიქიძემ, აღნიშნა, რომ სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტულ

ბიომედიცინის ცენტრთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სკოლა ახორციელებდა ვიზიტებს და სხვადასხვა პროექტებს.ასევე აქტიურად თანამშრომლობდა სოფელ ვეჯინში არსებულ ივანე ბერიტაშვილის სახელობის მუზეუმთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, რამდენად პოპულარული იყო სკოლის მოსწავლეებში ბიოლოგია და სკოლის დასრულების შემდეგ აგრძელებდნენ თუ არა სწავლას აღნიშნული მიმართულებით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეებში ბიოლოგია დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სკოლას ჰყავდა მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით აგრძელებდნენ სწავლას ამ განხრით.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და ექსპერტებს მიმართა კითხვით, განხორციელებულ ინტერვიუებში რამდენად გამოიკვეთა კათედრების მუშაობა და თანამშრომლობის მაღალი ხარისხი. მანანა ალიბეგაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებში მკაფიოდ ჩანდა სკოლის მასწავლებელთა ჩართულობა და თანამშრომლობითი კულტურა. ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლის მასწავლებლებს კარგად ჰქონდათ გააზრებული კურიკულუმებში წარმოდგენილი ყველა საკითხი. საბჭომ სკოლას მისცა რჩევა ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნაში მოცემული რჩევები, რომლებიც ეხება მეორე სტანდარტს გააანალიზოს და გაითვალისწინოს სასწავლო პროცესების წარმართვის დროს.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ იჯარის დოკუმენტაციაზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მოიჯარეს ივლისსა და აგვისტოში არ უნდა გადაეხადა გადასახადი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ საუბარი ეხებოდა ცეკვის წრეს, რომელიც, იქიდან გამომდინარე, რომ ივლისსა და აგვისტოში სასწავლო პროცესები სკოლაში არ მიმდინარეობდა, წყვეტდა მუშაობას. დირექტორმა აღნიშნა, რომ იჯარის ხელშეკრულებაში მოცემული გადასახადი იყოფოდა 10 თვეზე. შესაბამისად, მოცემულ თვეებში გადასახდელი თანხა გადანაწილებული იყო სექტემბრიდან - ივნისის ჩათვლით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლას (ს/კ : 227753188) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვეჯინი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვეჯინი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვეჯინი

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

საბჭოს სხდომა 18:02 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა.

4. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელისაბედ ბუსხრიკიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტ სოფელ კაკაბეთში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 650

მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 650 მოსწავლისთვის.

ელისაბედ ბუსხრიკიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ სურათი შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტი სამივე საფეხურის პროგრამისათვის შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განცხადებით, სკოლა ხელს უწყობდა სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. დაწესებულებაში არსებობდა პერსონალის მხარდამჭერი სისტემა, რომელიც ორიენტირებული იყო პერსონალის კარიერულ ზრდაზე. სკოლას ჰყავდა 22 უფროსი და 8 წამყვანი მასწავლებელი. სკოლაში ფუნქციონირებდა ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ზრუნავდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, მხარდამჭერი ჯგუფების მიერ, არაერთი ტრენინგი ჩატარდა ახალი ესგ-ის დანერგვის ხელშესაწყობად. სკოლაში ირიცხებოდა 8 სსსმ მოსწავლე. კათედრის თითოეული წევრი ჩართული იყო კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავდნენ სხვადასხვა პროექტებსა და ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურასა და უსაფრთხოებაზე. მან აღნიშნა, რომ სკოლის პირველი სართული იყო ადაპტირებული, თუმცა მაღალი შესასვლელის გამო საჭიროებდა პანდუსს. ასევე სკოლას შესრულებული ჰქონდა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული რეკომენდაციების ნაწილი, ხოლო დანარჩენ ნაწილზე ჰქონდა წერილობითი მიმართვა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოზე და ელოდებოდა შესაბამის რეაგირებას.

ექსპერტმა განმარტა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაწესებულების მიზანს წარმოადგენდა, ყოფილიყო საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა. მან კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა და დაესახელებინა ის ქვემიზნები, რომლებიც დაეხმარებოდა მათ მთავარი მიზნების მიღწევაში. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ლეილა ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ ისინი გეგმავდნენ სწავლა-სწავლების დონის ამაღლებას, პროექტების მოძიებას, როგორც შიდა ასევე, ეროვნულ დონეზე. დირექტორის მოადგილემ, ასევე აღნიშნა, რომ ისინი აპირებდნენ პროფესიული

კურსების ინტეგრირებას და ამ პროფილის გაძლიერებას. ამჟამადაც, სკოლაში კაჭრეთის კოლეჯთან თანამშრომლობით ისწავლებოდა კულინარია საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ დისციპლინურ ოქმზე, სადაც ასახული იყო, რომ მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სკოლის მოსწავლეს და აღნიშნული ფაქტის შემდგომ, განცხადების საფუძველზე დატოვა სკოლა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, დაეკისრა თუ არა მასწავლებელს დირექტორის მხრიდან სხვა პასუხისმგებლობა. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ლეილა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ პროცესი დასრულდა მხოლოდ დირექტორის მხრიდან მასწავლებლისგათავისუფლებით.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ, რამ განაპირობა მეორე სტანდარტის შეფასება, როგორც შესაბამისი. დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა, მაკა ნატროშვილმა, აღნიშნა რომ მასწავლებლებმა წარმოადგინეს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილი იყო ექსპერტთა მხრიდან და გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა ყველა იმ რეკომენდაციის შესრულებისა, რომელიც გაიცა გასაუბრების პროცესშივე. უცხო ენების საგნობრივმა ექსპერტმა, თამარ ჩალახეშაშვილმა, ასევე დაადასტურა რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ პირველად დოკუმენტაციაში იყო გარკვეული ხარვეზები, მათ გასცეს რეკომენდაცია და სკოლამ წარმოადგინა რედაქტირებული ვერსიები მეორე დღეს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 650-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 238146190) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კაკაბეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კაკაბეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კაკაბეთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, 3.4, 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნესტან სიხარულიძემ. ექსპერტმა განმარტა, რომ სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 7 და 8 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების

მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 170 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 170 მოსწავლისთვის.
ექსპერტის განცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა შეფასებები დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მეორე სტანდარტი -,სამივე საფეხურის პროგრამისათვის შეფასდა, როგორც "შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 3.4, კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ხოლო, ექსპერტთა ჯგუფმა მეოთხე სტანდარტი შეაფასა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ნესტან სიხარულიძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად დიდ დროს უთმობდა არაფორმალურ განათლებას, ხელს უწყობდა კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ფიზიკის საფუძვლიან სწავლებას. მტკიცებულებად წარმოდგენილი ჰქონდა მოსწავლეთა ხელით შექმნილი მაკეტები, რაც დადებითად განაწყობდა მნახველს. ასევე, სკოლაში შეიმჩნეოდა გარემოზე ზრუნვა და სასკოლო საზოგადოების გუნდური მუშაობა.
ექსპერტმა, ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურისა და იმ ნამუშევრების ამსახველი ფოტო- მასალა, რომელიც მოსწავლეების მიერ იყო შექმნილი სწავლა- სწავლების პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ, რამ განაპირობა მეორე სტანდარტის შეფასება, როგორც შესაბამისი.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, მადონა ბობოხიძემ, აღნიშნა რომ სკოლის მიერ წარმოდგენილმა კურიკულუმებმა ექსპერტთა ჯგუფს მისცა საშუალება სტანდარტი შეეფასებინათ, როგორც „შესაბამისი“, ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, შეფასების რუბრიკების ნიმუშებს, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების ნიმუშებს და პროექტებს მტკიცებულებებთან ერთად. ის დოკუმენტები კი, რომელიც არ იყო წარმოდგენილი ვიზიტამდე, ექსპერტთა მიერ ადგილზე გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შემდეგ, მეორე დღესვე წარმოადგინა დაწესებულებამ.
საბჭოს წევრმის, ნატო გაბოშვილის განმარტებით, სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ჰქონდა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაიწყო და დასრულების თარიღად მითითებული ჰქონდა 2024 წლის მაისი. საბჭოს წევრი დაინტერესდა და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, თუ რა ეტაპზე იყო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისა და ასევე ექიმის ან/და ექთნის დანიშვნის პროცესები.

სკოლის დირექტორის, კოტე გოგიაშვილის განმარტებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით, სკოლას ჰქონდა კომუნიკაცია შესაბამის სამსახურთან და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ პროცესები მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრამდე დასრულდებოდა. რაც შეეხებოდა ექთნის ვაკანსიას, გაკეთებულ განცხადებაზე სკოლას ჰქონდა გამოხმაურება და მიმდინარე კვირის ბოლოს მოხდებოდა კანდიდატებთან გასაუბრება და შესაბამისი კადრის შერჩევა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლას მიმდინარე წლის სექტემბერში ჩატარებული ჰქონდა სამეურვეო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდა 8 წევრი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სკოლის თვითმმართველობის წარმომადგენლები, თუმცა გადაწყვეტილება მიიღო ექვსმა წევრმა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ არ მიიღო მონაწილეობა ორმა წევრმა კენჭისყრაში და თუ წინააღმდეგი იყო, რატომ არ აისახა დოკუმენტში. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ავტორიზაციისთვის მოსამზადებელი კომისიის წევრმა, მაია გოგბერაშვილმა განაცხადა, რომ ოქმში ტექნიკური ხარვეზის გამო გამორჩენილი იყო ერთი ხმა და ამასთან, არ იყო მითვლილი სკოლის თვითმმართველობის წევრის ხმა. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა რომ სკოლის თვითმმართველობის წევრი არის სამეურვეო საბჭოს სრულფასოვანი წევრი, აქედან გამომდინარე მათ უნდა უზრუნველეყოთ მისი ხმის გათვალისწინება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა უარი თქვა სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭებაზე, ვინაიდან სკოლა თვითმმართველობის წევრის ხმის უგულებელყოფით,არღვევდა მოსწავლეთა უფლებებს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლას(ს/კ: 232004595) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170-ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუფოთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუფოთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუფოთი

საბჭომ 3.4. კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის წარმოდგენა.

6. სსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თბილისში, პაატა საკაძის ქ. N14-ში.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 600 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის.
მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის

ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა, სურათი შეიცვალა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ.კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 3.4 და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს (სამივე საფეხურის კურიკულუმთან მიმართებით), შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარდგენილმა სამმა პროექტმა გაიმარჯვა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მოიპოვა დაფინანსება. პროექტების ფარგლებში მოეწყო მცირე რეკრეაციული ზონა სკოლის ეზოში „მწვანე ტერასა“, სკოლის ბიბლიოთეკისთვის სკოლამ შეიძინა წიგნები, მოეწყო და მოიხატა სკოლის წინ არსებული გადასასვლელი. დაწესებულება ჩართული იყო სამოქალაქო კლუბების სამწლიან პროექტში, რომლის ფარგლებშიც დაფუძნდა სკოლის მოსწავლეთა სამოქალაქო განათლების კლუბი „მეწინავე“. სკოლა ამ ეტაპზე ჩართული იყო სამოქალაქო კლუბების ხელშეწყობის ხუთწლიან პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც კლუბის მიერ წარდგენილმა არაერთმა პროექტმა მოიპოვა გრანტი. სკოლა ჩართული იყო სხვადასხვა საპილოტე პროექტში: „ჭადრაკის ელექტრონული სწავლება“-მე-2-და მე-3 კლასების ჩართულობით; საგნის „პროფესიული ორიენტაციის“ სწავლება მე-9 და მე-11 კლასებში; ამჟამად სკოლა ჩართული იყო სამწლიან პროგრამაში „დებატები მომავალი წარმატებისთვის“, რომლის გათვალისწინებით, სკოლაში ფუნქციონირებდა დებატების კლუბი. ასევე საპილოტე რეჟიმში განხორციელდა სწავლება „უსაფრთხოების 10 გაკვეთილი“. სკოლა ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამაში “მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის 5 პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“. აღნიშნული პროექტის მიზანი იყო მოზარდებში მართლშეგნებისა და ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სკოლა არ იყო რეაბილიტირებული, თუმცა სასკოლო საზოგადოება სხვადასხვა ფორმით ზრუნავდა მასზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა ნატო გაბოშვილმა, აღნიშნა რომ ექსპერტების ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა კონტექსტმაგალითებს, კერძოდ, კურიკულუმში შეიმჩნეოდა კონტექსტმაგალითების სიმწირე. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა, დაეზუსტებინათ, კონკრეტულად რა იგულისხმეს მოცემულ რჩევაში. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტის, ბექა კვაჭაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმები სრულყოფილად იყო შემუშავებული და აგებული, რიგ შემთხვევაში, წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ნაკლებად შეესაბამებოდა იმ საკითხს, რომლისთვისაც იყო წარმოდგენილი კონკრეტული კონტექსტმაგალითი.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა, რომ, როგორც დასკვნიდან ჩანდა სკოლას გარკვეული პერიოდი არ ჰყავდა დამლაგებელი და ბიბლიოთეკარი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა სკოლა შესაბამისი სანიტარული ზომების დაცვას. სკოლის დირექტორმა, ბაია გაბაიძემ აღნიშნა, რომ ეს იყო მოკლე პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სკოლის ყველა წევრი ნებაყოფლობით იღებდა მონაწილეობას სისუფთავის შენარჩუნებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ქალაქ თბილისის N26 საჯაროსკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ-ქალაქ თბილისის N26 საჯარო სკოლას(ს/კ:202887625) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, პაატა საკაძის ქ. N14
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, პაატა საკაძის ქ. N14
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, პაატა საკაძის ქ. N14

საბჭომ 3.4. კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 20:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა